ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №11

ქ. თბილისი, 03 მაისი
2018 წელი
15:00 საათი
თავისუფლების მოედანი #2
ჯანმრთელობის დაცვისა დასოციალურ საკითხთა კომისიის
თავმჯდომარის ოთახი 329

სხდომას ესწრებიდნენ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა
კომისიის წევრები:

1. ნინო ლაცაბიძე;
2. ოთარ გრიგოლია;
3. ქეთევან მამულაშვილი;
4. ვლადიმერ ძნელაძე;
5. დავით ყველაშვილი,
6. ლიანე ლიპარტელიანი;

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის წესის დამტკიცებისშესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 სექტმბრის №28 116 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (12-031811552 03 25.04.2018წ.)

მომხსენებელი: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი - ნინო ლომინაძე

სხდომას თავმჯდომარეობდა: ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე ყიორგი ბერბიჩაძე.

სხდომის თავმჯდომარე - მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა კომისიის წევრებს და მოწვეულ სტუმრებს წარმოუდგინა ქვორუმი და გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

გიორგი ხირსხარაძემ - ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრებს წარმოუდგინა დღის წესრიგის საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის წესის დამტკიცებისშესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის №28 116 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (12-031811552-03 25.04.2018წ.) და სიტყვა გადასცა საკითხის მომხსენებელს, მერიის წარმომადგენელს ნინო ლომსიძეს, რომელიც წარმოუდგინა დამსწრე საზოგადოებას.

ნინო ლომსიძე წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის №28 116 დადგენილებაში, კერძოდ იცვლება დადგენილების სათაური და თავშესაფროან ერთად ეთითება საცხოვრისი, შესაბამისად მთლიანი წესი დაკორექტირდა ამ სათაურის შესაბამისად.

ამასთან, დაემატა ჩანაწერი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური უზრუნველყოფს რეგისტრირებული უსახლკარო პირების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონს გამგეობებისათვის.

საცხოვრისით უზრუნველყოფისათვის განისაზღვრა უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა რიგითობა, კონკრეტული ქულათა მინიჭების სისტემით. ქულათა სრული დამოხვევის შემთხვევაში, კომისია პირის/ოჯახის თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის თაობაზე განაცხადის დაკმაყოფილების რიგითობის დასადგენად ატარებს კენჭისყრას და გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით. რაც უფრო მაღალია ქულა მით უფრო მაღალია თავშესაფრით/საცხოვრისით დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

წარმოდგენილი პროექტით, თუ საცხოვრისის არსებული ფართების რესურსი ოჯახის ყველა წევრისათვის არ შეესაბამება საორიენტაციო საცხოვრებელ ფართს, დასაშვებია ოჯახისათვის ერთზე მეტი საცხოვრებელი ფართის გამოყოფა. პირის/ოჯახის მიერ თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის შეთავაზებაზე უარის თქმის შემთხვევაში, პირის/ოჯახის განაცხადი განმეორებით არ განიხილება მომდევნო 2 (ორი) წლის განმავლობაში.

წესში დაკორექტირდა კომისიის რეკომენდაციების სახეები, იმ შემთხვევაში თუ პირი რეგისტრირებულია უსახლკაროდ, თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის საკითხის განხილვის ეტაპზე, კომისია იღებს რეკომენდაციას ან თავშესაფრით დაკმაყოფილების შესახებ ან სოციალური საცხოვრისით დაკმაყოფილების შესახებ.

პირველ რიგში კმაყოფილდება უფრო მაღალი ქულის მქონე პირები/ოჯახები. იმ შემთხვევაში, თუ პირი რეგისტრირდება უსახლკაროდ, მაგრამ ვერ დაკმაყოფილდა საცხოვრისით, იგი ავტომატურად ჯდება მომლოდინეთა სიაში.

კომისია საჭიროებისამებრ ამოწმებს აკმაყოფილებს თუ არა თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფილი პირი/ოჯახი, ამ წესით გათვალისწინებულ უსახლკარობად რეგისტრაციის კრიტერიუმებს.

გიორგი ბირბიჩაძე - კომისიამ შეისწავლა ოფიციალურად წარმოდგენილი ჩანაცვლება და გვაქვს შენიშვნები კერძოდ: სათაურის შეცვლასთან ერთად უნდა დაკორექტირდეს მთლიანად ქვეპროგრამის ტექსტი. ოფიციალურად გაუმარტივდეს. უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგ სახით:

1. მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. უსახლკარო პირად რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის კრიტერიუმები:

1. ფიზიკური პირი (შემდგომში - პირი) უსახლკაროდ დარეგისტრირდება, თუ ის აკმაყოფილებს ყველა შემდეგ კრიტერიუმს:

ა) 2015 წლის 27 ნოემბრამდე რეგისტრირებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (გარდა იმ შემთხვევისა, როცა პირი დაიბადა 2015 წლის 27 ნოემბრის შემდეგ);

ბ) არ აქვს საკუთრების, მართლზომიერი მფლობელობისა თუ სარგებლობის უფლება საცხოვრებელ სადგომზე ან სხვა ფართზე;

გ) საკუთრებაში, მართლზომიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში არ აქვს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქონების გარდა სხვა უძრავი ქონება ან, როცა პირს ასეთი ქონება გააჩნია და იგი ასაბუთებს, რომ აღნიშნული ქონება სხვა შემოსავლებთან ერთობლიობაში არ არის საკმარისი საცხოვრებლითა და საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფისათვის;

დ) არ აქვს შემოსავალი, ან შემოსავლის არსებობის შემთხვევაში, პირი ასაბუთებს, რომ აღნიშნული შემოსავალი სხვა ქონებასთან ერთობლიობაში არ არის საკმარისი საცხოვრებლითა და საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფისათვის ან არსებული შემოსავალი არ აღემატება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის" ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16იანვრის №10-23 დადგენილებით გათვალისწინებული საცხოვრებელი ფართის ქირავნობის თანხისა და საარსებო მინიმუმის (განაცხადში მითითებული ოჯახის წევრიდან ორი და მეტი პირის შემთხვევაში საარსებო მინიმუმის თანხების ჯამს) თანხის ერთობლიობას;

ე) არ ფიქსირდება მის მიერ სახელმწიფო საზღვრის 3 ან მეტი გადაკვეთა ბოლო ერთი წლის განმავლობაში, გარდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული შემთხვევების და სხვა ობიექტური გარემოების გამო სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისა, რაც დასტურდება განმცხადებლის მიერ, შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენით.

2. უსახლკაროდ რეგისტრაცია შესაძლოა გამოირიცხოს:

ა) ქონებრივი, საოჯახო ან/და სხვა, ისეთი გარემოებების გამოვლენისას, რომლებიც ადასტურებენ განმცხადებლის შესაძლებლობას უზრუნველყოფილი იყოს საცხოვრისით ან მის მიმართ მესამე პირის ვალდებულებას საცხოვრისით უზრუნველყოფაზე (გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამ ვალდებულების შესრულება სამართლებრივი ან/და ფაქტობრივი

გარემოებების გამო შეუძლებელია);

ბ) წესისმიერი ისეთი ფაქტის გამოვლენისას, რომელიც ადასტურებს განმცხადებლის მხრიდან არასრული ან არასწორი ინფორმაციის მიწოდებას;

გ) ხელისმიერი არაკეთილსინდისიერი ქმედების განხორციელებისას/გამოცდენისას, რომლის შედეგადაც განმცხადებელმა თავშესაფრის/საცხოვრისის მიღების მიზნით, ხელოვნურად წარმოქმნა მისი უსახლკაროდ რეგისტრაციის საფუძველი.

3. უსახლკაროდ რეგისტრაცია უქმდება თუ:

ა) პირი აღარ აკმაყოფილებს ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული რეგისტრაციის კრიტერიუმებს;

ბ) გამოვლინდა ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაციის გამორიცხვის ერთ-ერთი ფაქტი.

4. უსახლკაროდ რეგისტრაცია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის არ წარმოშობს უსახლკაროდ რეგისტრირებულის თავშესაფრით/საცხოვრისით რაიმე კონკრეტულ ვადაში აუცილებელი დაკმაყოფილების ვალდებულებას. უსახლკაროდ რეგისტრირებული პირის თავშესაფრით/საცხოვრისით დაკმაყოფილება მოხდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შესაძლებლობისა და უსახლკარო პირთა თავშესაფარში/საცხოვრისში არსებული რესურსის შესაბამისად.

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური უზრუნველყოფს რეგისტრირებული უსახლკარო პირების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობებისთვის.

6. საცხოვრისით უზრუნველყოფისთვის განისაზღვრება უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა ქულათა ძიჩიჭების სისტემა, რომლის მეშვეობითაც განისაზღვრება რიგითობა:

ა) საცხოვრებელიპირობების(1 -2 ქულა);

ბ) სხვაფაქტორთაგარემოებები(1-2 ქულა);

გ) მკვეთრად ან მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვან პირებს და მათი ოჯახის წევრებს-2 ქულა;

დ) ექტრასს, რომელიც რეგისტრირებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის ვეტერანების

საქმეთა სახელმწიფო სამსახურში-1 ქულა;

ე) მარჩენალდაკარგულის სტატუსის მქონე პირს-2 ქულა;

ვ)მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირს და მის არასრულწლოვან შვილ(ებ)ს-3 ქულა;

ზ) მრავალშვილიან ოჯახს-3 ქულა;

ო) „საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზედაჯილდოებულ პირებს, ქალაქ თბილისის საპატიო მოქალაქის წოდების ან ქალაქ თბილისზე მზრუნველის და „საპატიო წოდებებისა და ჯილდოების მინიჭების შესახებდებულების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2014 წლის 5 დეკემბრის №16-39დადგენილების საფუძველზე მინიჭებული სხვა სტატუსის მქონე პირს-1 ქულა

7. ქულათა სრული დამთხვევის შემთხვევაში, კომისია პირის/ოჯახის თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის თაობაზე განაცხადის დაკმაყოფილების რიგითობის დასადგენად ატარებს კენჭისყრას და გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.

8. რაც უფრო მაღალია ქულა მით უფრო მაღალია თავშესაფრით/საცხოვრისით დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

9. უსახლკაროდ რეგისტრირებული პირის საცხოვრისით უზრუნველყოფა ხდება ფართის ოპტიმალური გადანაწილების პრინციპის საფუძველზე. ერთ ადამიანზე გასათვალისწინებელი საორიენტაციო საცხოვრებელი ფართი შეადგენს ექვს კვადრატულ მეტრს. იმ შემთხვევაში თუ საცხოვრისის არსებული ფართების რესურსი ოჯახის ყველა წევრისათვის არ შეესაბამება საორიენტაციო საცხოვრებელ ფართს, დასაშვებია ოჯახისათვის ერთზე მეტი საცხოვრებელი ფართის გამოყოფა.პირის/ოჯახის ძიერ თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის შეთავაზებაზე უარის თქმის შემთხვევაში, პირის/ოჯახის განაცხადი განმეორებით არ განიხილება მომდევნო 2 (ორი) წლის განმავლობაში."

2. მე-3 მუხლის სათაური და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის პროცედურა

1. პირმა თავშესაფრის/საცხოვრისის მიღების მიზნით, უსახლკაროდ რეგისტრაციისთვის განცხადებით უნდა მიმართოს კომისიას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი განაცხადის ფორმით, რომელსაც თან უნდა ერთოდეს:

ა) პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა/დასადგენის მოწმობა ან პასპორტი) ასლი;

ბ) შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სხვა) ასეთის არსებობის შემთხვევაში;

გ) ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომელმაც შეიძლება დაადასტუროს უსახლკაროდ რეგისტრაციისთვის მოთხოვილი გარემოებების არსებობა ან/და განმცხადებლის მიერ მითითებული ინფორმაცია."

3. მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. უსახლკაროდ რეგისტრაციის თაობაზე დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში – კომისია გასცემს ქვემოთ მოცემული რეკომენდაციებიდან ერთ-ერთ რეკომენდაციას:

ა) უსახლკაროდ რეგისტრირებული პირის თავშესაფრით (ლილოს მიუსაფარია თავშესაფარი) უზრუნველყოფის შესახებ – ამ წესით დადგენილი ქულების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შესაძლებლობებისა და არსებული რესურსების შესაბამისად;

ბ) უსახლკაროდ რეგისტრირებული პირის საცხოვრისით უზრუნველყოფის შესახებ – ამ წესით დადგენილი ქულების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შესაძლებლობებისა და არსებული რესურსების შესაბამისად ".

4.მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 4[1] პუნქტი:

„4[1]. პირველ რიგში კმაყოფილდება ყველა მაღალი ქულის მქონე პირები/ოჯახები.იმწყობსხვებსაში, თუპირირეგისტრირდებაუსახლკაროდ, მაგრამ ვერ დაკმაყოფილდა საცხოვრისით, იგი ავტომატურად ჯდება მომლოდინეებისაში “

5. მე-3 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე, უსახლკაროდ რეგისტრირებული პირის საცხოვრისით დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა. დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ხდება უსახლკაროდ რეგისტრირებული პირის საცხოვრისით უზრუნველყოფა.

6. კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილებით უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირს უწყდება საცხოვრისით სარგებლობის უფლება ან/და კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე, სამსახურის გადაწყვეტილებით, უწყდება უსახლკაროდ რეგისტრაცია, თუ უსახლკაროდ რეგისტრირებული პირი ვეღარ აკმაყოფილებს ამ წესის მე-2 მუხლით განსაზღვრულ კრიტერიუმებს.“

6. მე-3 მუხლის მე-7და მე-8 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. კომისია საჭიროებისამებრ ამოწმებს აკმაყოფილებს თუ არა თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფილი პირი/ოჯახი ამ წესის მე 2 მუხლით გათვალისწინებული უსახლკაროდ რეგისტრაციის კრიტერიუმებს.

8 თავშესაფრით/საცხოვრისითფართით სარგებლობის პირობები და წესი დგინდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით, რომლის დარღვევა შეიძლება გახდეს თავშესაფრით/საცხოვრისით სარგებლობის შეწყვეტის საფუძველი.

სანი ლაკაბიძე - „მუხლი 2. უსახლკარო პირად რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის კრიტერიუმების პუნქტი 6. საცხოვრისით უზრუნველყოფისთვის განისაზღვრება უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა ქულათა მინიჭების სისტემა, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება რიგითობა: ნაცვლად ზ) მრავალშვილიან ოჯახს 3 ქულა, დაკორექტირდეს შემდეგ ნაირად: ზ) ოჯახს, რომელშიც 3 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვია 3 ქულა;

ამასთან, მუხლი 3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის პროცედურა დაკორექტირდეს შემდეგ ნაირად:

9. კომისია საჭიროებისამებრ (მაგრამ, არაუგვიანეს თავშესაფრით/საცხოვრისით დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 2 წლისა) ამოწმებს აკმაყოფილებს თუ არა თავშესაფრით/საცხოვრისით დაკმაყოფილებული პირი/ოჯახი ამ წესის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ უსახლკაროდ რეგისტრაციის კრიტერიუმებს.

კომისია კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა.

საქალაქო სამსახურს წარმომადგენელი დაეთანხმა კომისიის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს და აღნიშნა, რომ წარმოადგენს შესწორებულ ვერსიას საკრებულოს სხდომამდე.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
1.მომხრე: 7
2.წინააღმდეგი: 0
3.თავი შეიკავა: 0

<u>დაადგინა</u>

განხილულ იქნას საკრებულოს ოთხლოიეს სხდომაზე ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის უმრავლესობის დადებითი რეკომენდაციით.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძე